# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 89 — სამშაბათი, 12 ნოემბერი, 1918 წ. — № 89



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



ღრმად დამწუხრებულნი: იაკობი გულას ძე, ევგენი იაკობის ძე, ვერა და პატარა ოთარი გეგეჭკორები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველის დაუვიწყარ სიდედრის ხოლო დანარჩენთა საყვარელ, გამზრდელ ბებიასი

### მენიკი კეიდიასი
#### კოზახიძის ასულის

გარდაცვალებას ქ. ზუგდიდში.



### ქართულ რკინის გზის შემოსავალ განყოფილების

ეზოში, (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70) ამა 11 ნოემბერს (ახალი სტილით) დილით 11 საათზე 1918 წელს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შესახვევათ სახმარ ქაღალდისა 4000 ფუთამდე. დაწვრილებით: ქ. ტფილისი, შემოსავალი განყოფილება ქართულ რკინის გზისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70. 10-დან 4 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა. 1004 3—3



### სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ გურჯაანის უბნის მომრიგებელ მოსამართლის ბინათ დანიშნულია სოფელი **გურჯაანი,** მაჩხაანის უბნის—**ქვემო-მაჩხაანი,** შირაქის უბნის—**თუქურმიშა, (დედოფლის წყარო),** ალაზნის გაღმა უბნის—**ვორონცოვკა,** კოდალოს უბნის—**სოფ. კაჭრეთი** და სიღნაღისა— **ქ. სიღნაღი.**
2—925—2



### ექიმი ი. კ. აბაკელია
#### შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-პლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.



### ქართული ლატარია

5 000 000 მან.

#### ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.

**პირველი მოგება 100000 მანეთია**

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

***

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:

ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!

მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აღყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-ამაღლებას!

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!



### საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა

ამა წლის გიორგობისთვის 23-ს ქ. ტფილისში (ფრეილინის ქ. № 11, საქართველოს სახალხო სახლი) მოწვეულია საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ყრილობა.
პარტიის თითეული ასი წევრი გზავნის ყრილობაზე ერთ წარმომადგენელს, ხოლო იმ ადგილებიდან, სადაც მოიპოვება არა ნაკლებ პარტიის ოცი წევრისა, იგზავნება ყრილობაზე აგრეთვე თითო წარმომადგენელი.
ყრილობის წესრიგი: 1) მთავარ კომიტეტის მოხსენება, 2) საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება, 3) მომენტი და ტაქტიკა, 4) საპარლამენტო ფრაქციის პოზიცია, 5) აგრარული საკითხი, 6) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 7) დამფუძნებელი კრების არჩევნები, 8) მთავარ კომიტეტის არჩევნები. ყრილობა გაიხსნება შუადღის თორმეტ საათზედ.
3—141—1. **მთავარი კომიტეტი.**



### საწერ მანქანებს
#### ქართულ ენაზე

ვიღებ გადასაკეთებლად. შრიფტი ფოლადისაა და საუკეთესოთ შესრულებული. შეკვეთა შეიძლება ტეხნიკურ კანტორაში ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკისა, ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა № 1, ტელეფ. 16—36. 1020 1—1


## ოფიციალური განყოფილება

### განკარგულებანი
#### ტფილისის ქალაქის მილიციისა

2 ნოემბრი, 1918 წ.

№ 287.

§ 1.

მე-12 უბნის უფროს მილიციონერად დაინიშნა კვიროსი ბალავერდის ძე ორაგველიძე ამა წლის 1 ნოემბრიდან.

§ 2.

მე-6 უბნის უმცროს მილიციონერს მიხეილ კალანდარაშვილს დროზე გამოუცხადებლობის გამო, უცხადებ საყვედურს.

§ 3.

თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნილია მე-12 უბნის უფროსი მილიციონერი კორნელი ქავთარაძე.

§ 4.

განკარგულება № 267 უმცროს მილიციონერის ალექსანდრე პოდოსენკოვის შესახებ, შეცვლილია.

§ 5.

სამსახურიდან დროებით ვანთავისუფლებ უმცროს მილიციონერებს: მე-11 უბნ. სილოვან თევზაძეს ერთი კვირით, მე-12 უბ. მიხეილ ასაბაძეს ორი კვირით, საბურთალოს უბ. სარქის დინოიანცს ერთი კვირით.

§ 6.

მე-12 უბ. ივანე ელბაქიძეს ერთი კვირით და მე-11 უბ. მწერალს ნინო რიბინსკის 6 დღით.

§ 7.

სამსახურიდან დათხოვნილია მე-12 უბნის უმცროსი მილიციონერი დიმიტრი შავარდნაძე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

§ 8.

დათხოვნილია სამსახურიდან მე-10 უბნის უმცროსი მილიციონერი სიმონ მახარაძე.

§ 9.

მე-12 უბ. კომისრის თანაშემწე აკაკი შავგულიძე დაბრუნდა და შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

§ 10.

დათხოვნილია სამსახურიდან მე-2 უბნის უმცროსი მილიციონერი ვასილ ჩხეიძე 1 ნოემბრიდან.

§ 11.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ა რ ი ა ნ: უმცროს მილიციონერებათ: მე-2 უბ.—კონსტანტინე ერმოლოზის ძე ჩიქოვანი, ივანე ალექსანდრეს ძე მაზიკინი, მე-3 უბ.—თედორე სიგუა, ლუკიან გიორგის ძე ლაფერაშვილი, მე-6 უბ.—პანტელეიმონ ფილიპეს ძე ჰანტურია, მე-9 უბნის—მიხეილ გიორგის ძე გომელაური და მე-10 უბ.—კონსტანტინე ივანეს ძე ცხაკაია, გიორგი ალექსანდრეს საფაროვი, ყველა 1 ნოემბრიდან.

მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ა. უ რ უ შ ა ძ ე.

**ტფილისის ფ.-ტ. ოლქის უფროსისა.**

9 სექტემბერი, 1918 წ:

№ 124.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ფ-ტ. კანტორების უფროსის თანაშემწეები: ალექსანდროპოლის 1 კლ. არჩილ ციხისტოვი; ბორჯომის 2 კლ. ნოე კახიანი, სამტრედიის V კლ. გრიგოლ მაკაცარია, ჭიათურის IV კლ. მაქსიმე ჰანტურაია და ყვარელის ფ-ტ. კანტორის უფროსი ნიკოლოზ კობახიძე—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების უფროსებათ: ციხისტოვითელავში, IV კლ. კახიანი—ახალ-სენაკში IV კლ. მაკაცარია-სამტრედიაში V კლ. ჰანტურაიაჭიათურაში IV კლ. კობახიძე კი—დედოფლის წყაროში VI კლ. თელავის ფ.-ტ. კანტორის უფროსი IV კლ. ალექსანდრე საფრონოვი, დელიჟნის ფ.-ტ. კანტორის უფროსის თანაშემწე V კლ. ხუციშვილი და ქვემო-მაჩხაანის ფ.-ტ. განყოფილების უფროსი დიონისი ინასარიძე. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ. საფრონოვი II ხარ. ტფილისის ფოსტის კანტორაში, ინასარიძე V ხარ, ლაგოდეხის ფ.-ტ. კანტორაში, ხუციშვილი კი III ხარ. ტფილისის V სამოქალაქო ფ.-ტ. განყოფილებაში; ფ.-ტ. მოხელე III ხარ. მიხაილოვის ფ.-ტ. კანტორისა ბეგლარ მუშკუდიანი-იგივე კანტორის უფროსის თანაშემწეთ IV კლ., ფ.-ტ. მოხელეები ფ.-ტ. კანტორებისა: თელავის IV ხარ. ილია გოგოლაშვილი და ყვირილის II ხარ. ევმენი (იგივე ევგენი) ერისთოვი ფ.-ტ. განყოფილებების უფროსათ: გოგოლაშვილი-ყვარელში, ერისთავი კი საჩხერეში. ციხისტოვი და საფრანოვი 1 აგვისტოდან, კობახიძე 16 აგვისტოდან, კახიანი, მაქაცარია. ჰანტურია, ხუციევი, ინასარიძე, მუშკუდიანი, გოგოლაშვილი და ერისთავი ამა წლის 1 სექტემბრიდან.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: დროებით დაქირავებულნი ფოსტა-ტ. მოხელენი: სოხუმის ფოსტა-ტელ. კანტორის ალექსანდრე საფარევიჩი და ტფილისის ტელეგრაფის კანტორის IV კლ. რებეკა ტრახშენრუდისა ნამდვილ სახელმწიფო სამსახურში 16 აგვისტოდან ამა წლისა ძველი ნამსახურის ჩათვლით 317 მუხ. ძალით ტ. III გამოცემა 1896 წ., საფარევიჩს 21 აგვისტოდან 1914 წლიდან, ტრახშენრუდს კი 6 იანვრიდან 1918 წლიდან.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ე ნ: უმაღლეს ჯამაგირიანი უმცროსი მექანიკოსი ნიკოლოზ როსტომაშვილი იმავე თანამდებობაზე ფოთის ტელეგრაფის ქსელში, ქსელის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლათ.

ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ ი რ ი ც ხ ე ბ ი ა ნ: ოლქის სამმართველოს უფროსი მექანიკოსი ბიქტორ ბარისოვი, უმცროსი მექანიკი უმაღლესი ჯამაგირიანი ფოთის ტელეფონის ქსელისა სერგო სუხარევი; ბორისოვი 9 სექტემბრიდან, სუხარიევი კი ამა წლის 10 სექტემბრიდან, ბორისოვი თხოვნის თანახმათ, სუხარიევი კი შტატების შემოკლების გამო.

ს ი ი დ ა ნ ა მ ო შ ლ ი ლ ი ქ მ ნ ე ნ: სართიჭალის ფ.-ტ. განყოფილების ფოსტალიონი ივანე აპაკინი თანახმათ საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობისა 20 ივლისიდან 1918 წ. № 18243, ოლქის ტერიტორიის შემცირების გამო.

ფ-ტ. ოლქის უფროსი მ გ ე ლ ა ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება

**ტფილისი, 12 ნოემბერი.**

ახლოვდება ჟამი, როდესაც სავსებით უნდა შესწყდეს ჰექა-ქუხილი. როდესაც უნდა ჩაჩუმდეს და დადუმდეს ზარბაზან-ტყვიის-მტყორცნელთა გახურებული პირი, როდესაც უნდა გაშრეს და გაცივდეს უმანკო სისხლის ნაკადულები, როდესაც ადამიანის გულქვა—ნიჭით და სასტიკი ბრძანებით ამოძრავებული ხელით ამოთხრილი კულტურული ადგილები, სანგრებად ქცეული მიდამოები უნდა ამოივსოს და კვლავ კულტურით აყვავდეს. იმპერიალისტების მიერ დაწყებული და მოწყობილი საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაშორისო სასაკლაო, რომლიდანაც იწურებოდა მშრომელთა სისხლი, რომლითაც შენდებოდა „ბედნიერების“ კოშკი გაუმაძღარ ჯგუფებისა, ძლიერთა ამა ქვეყნისა, ხვალ უნდა დაინგრეს და განაცამტვერდეს. მძლე ძახილი და თქმა: იმპერიალისტების მიერ დაწყებული ომი დემოკრატიამ უ ნ დ ა დაასრულოსო. რეალობად ხდება, ნამდვილდება, მართალია ჯერ-ჯერობით კიდევ არა სავსებით დ სრულობრივ, მაგრამ დემოკრატიის ძლიერი საზავო მოძრაობა, ფრთა გაშლილი ძლიერი საზავო მოთხოვნილება თავის ლელოს აღწევს. ისტორიის აუცილებლობამ და კანონ შეწონილებამ ძირს დასცა იმპერიალისტურ—ბიუროკრატიული რუსეთი, ფეოდალური ოსმალეთი, რუმინეთი, ბოლგარეთი. დაანგრია და დაშალა აკოწიწებული და ახუხულავებული ავსტრუნგრეთი და დაამსხვრია ჯავშნიანი-მუშტი გერმანელ იუნკრებისა. საერთო უბედურება-ჯოჯოხეთობას-ომს-თან მოჰყვა აუცილებელი სიკეთე—დემოკრატიზაცია, რომელიც მკვდარს წერტილს გადასცილდა და თავის მსვლელობაში სწრაფლ სრბოლვით შორს წავა.

ის ბანაკი, რომელიც დღემდე ჯიუტობდა და არ სურდა ხმალი დაესვენებია, ის ბანაკი, სადაც ალარმისტებს კიდევ ფართო ასპარეზი ჰქონდათ,—დღეს იძულებულნი ხდებიან შეამცირონ თავისი სწრაფვა და აღმოსავლეთის მაგალითით შეშინებულები უკან იხევენ, თავის ხალხის ხმას ყურს გაფაციცებით უსმენენ. და ეს ხმა კი მოითხოვს დაუყონებლივ ზავს. და ამის შედეგია, რომ მოკავშირე სახელმწიფონი უკვე მზათ არიან დაიწყონ ზავის შესახებ მოლაპარაკება, ზავი ახლოსაა. ზავი ხორციელდება. და თუ როგორი იქნება იგი, დამოკიდებულია იმაზე, თუ საერთაშორისო დემოკრატია რამდენათ მომზადებული, შეკავშირებული და დარაზმული შეხვდება საერთაშორისო საქმის-ზავის საკითხის მოგვარებას.

# საქართველოს პარლამენტის ნოემბრის 7 სხდომა

## მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა

(გაგრძელება)

### მთავრობის პოლიტიკა ლტოლვილთა მიმართ.

ეხლა მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, არსებითად, საერთოდ ლტოლვილების შესახებ.

ჩვენ, როგორც ვიცით, ბევრი რამ სწერია მათ შესახებ გაზეთებში: სწერია ის, რომ ჩვენ ლტოლვილებს არ უშვებთ, რომ ისინი ლაგერებში არიან და მათ არსად არ უშვებთ და ბევრი ამისთანა. სწორედ დღეს, ვინაიდან ჩვენ შემთხვევა გვაქვს ვთქვათ ამაზე, თუ რას ვშვრებით ამ მხრივ, ნება მიბოძეთ ამ საგანზე ვსთქვა (ხმები: გთხოვთ).

ლტოლვილების საკითხს ამიერ-კავკასიაში აწარმოებდა ერთი ორგანიზაცია. იმას ჰქვინა: „აღმასრულებელი კომიტეტი კავკასიის ფრონტის ლტოლვილების საქმის მოსაწყობად“. ამ აღმასრულებელ კომიტეტში შედიოდნენ ყველა ერების წარმომადგენლები და ლტოლვილთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ის იყო ტფილისში. ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 26 მაისს. მაგრამ ეს საქმე დარჩა მაინც იმ კომიტეტის ხელში და ჩვენ ეს საქმე მივიღეთ მხოლოდ ივლისში, მაშასადამე შემდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, თითქმის თვე ნახევარზე მეტი იყო მათ ხელში.

იმ კომიტეტს სეიმმა მისცა, თუ გახსოვთ 15 მილიონი მანეთი. ამ 15 მილიონ ფულში უმრავლესობა სომხის ლტოლვილთა ორგანიზაციამ მიიღო 10 მილ. 252, ათასი მანეთი. (გ. ვეშაპელი: რამდენ თოფს იყიდიდნენ)!

ის არ არის გამოანგარიშებული, თუ ლტოლვილები, საერთოდ რამდენი არიან, მაგრამ არის ვარაუდით, ნაანგარიშევი, რომელნიც აქ დარჩნენ და რომელთაც ამ გზით გაიარეს იყო 300 ათასი.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ციფრა დაუშვეს ძირს, მაინც ამ ჟამად საქართველოს საზღვრებში მოიპოვება 150 ათასი ყველა ეროვნებისა, ამათში სომხის ლტოლვილი იქნება 100—110—120 ათასამდე.

ეს ლტოლვილები იყვნენ გადმოხვეწილნი ორ მხრიდან: ერთი მოდიოდა ახალციხის და ახალქალაქის მაზრიდან და მეორე რიგი ლტოლვილებისა მიდიოდა ოსმალეთიდან და ერევნის გუბერნიიდან. ის ხალხი, რომელიც მოდიოდა ერევნის გზით, ის მიდიოდა ტფილისში. ის ხალხი, რომელიც წამოვიდა ახალქალაქის და ახალციხის მაზრიდან, ისინი მოვიდნენ ბაკურიანში და მის მიდამოებში. უნდა ითქვას, რომ იმათში, რასაკვირველია, იყვნენ ყველა ერის ლტოლვილები: იყვნენ სომხები, იყვნენ ქართველები, იყვნენ აისორები. ერთი სიტყვით, აქ იყვნენ ყველა ერის ლტოლვილები, და ჩვენ არასოდეს არავითარი განსხვავება არც ერთ ეროვნებათა შორის არ გაგვიკეთებია. ამ საქმეში სომხებს როგორც ქართველებს, და აგრეთვე როგორც ბერძნებს ვუყურებდით ერთნაირად.

ტფილისში იმყოფებოდა 40 ათასი ლტოლვილი. შემდეგ, თვით ქალაქის თვითმმართველობის განკარგულებით, ვინაიდან ლტოლვილებს შორის გაჩნდა ხოლერა და სხვა სენი, ისინი გადაყვანილი იქმნენ მე-300 ვერსზე.

უნდა ითქვას, რომ მე-300 ვერსზე იყვნენ გადაყვანილნი იმიტომ კი არა, რომ იქ რაღაც ცუდი იყო მათთვის, პირიქით, იქ არის მშვენიერი ბინა, მშვენიერი ჰაერი და წყალი. და რომ მათ შორის ხოლერა არ გაჩენილიყო, ამიტომ ქალაქის თვითმართველობამ იზრუნა და ერთი მშვენიერი ადგილი მათთვის გააჩინა; მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამ 40 ათასიდან, რომელნიც აქ იყვნენ, ეხლა არიან მხოლოდ ექვსი ათასი. ეხლა იკითხავთ: სხვები რა იქნენ? (გ. ვეშაპელი: ელიავამ შეინახა) რომ ვკითხოთ „ჰორიზონის“ ზოგიერთ ურა-პატრიოტებს, იგი იტყვის დაიხოცნენო (რ. ივანიცკი: Чичиковскія мертвыя души.) იმიტომ გადაიყვანეთ, რომ დახოცილიყვნენო. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ისინი არ დახოცილან. ისინი დაიხოცნენ, როგორც თქვენ და როგორც მე. ჩვეულებრივ ავადმყოფობისაგან შეიძლება ზოგიერთი მოკვდა, მაგრამ ბევრი მათგანი აიყარა და გამოემგზავრა ტფილისში და სხვა ქალაქებისკენ. რადგანაც მათთვის ჩვენ რასაკვირველია, არავითარი დაბრკოლება, არავითარი წინააღმდეგობა არ აღმოგვიჩენია. თუ ნახავდნენ აქ სამუშაოს, ისინი იკრიბებოდნენ, სცხოვრობდნენ აქ, და ამ რიგად იმ 40 ათას ლტოლვილიდან დარჩა იქ სულ 6 ათასი. მაშასადამე, დანარჩენებზე აქ ლაპარაკი არც არის.

ეხლა თქვენ გადახედეთ ბაკურიანის მხარეს. აქ იყო 100 ათასი თუ 80 ათასი კაცი. აქაც სუყველა ერის ლტოლვილები იყო. ეხლა არიან 25 ათასი.

თქვენ იკითხავთ: დანარჩენნი რა იქნენო? იტყვიან ზოგიერთნი,—დაიხოცნენო.

კი! დაიხოცა რამდენიმე. უეჭველია, მაგრამ თვითეული ინდივიდუმები წამოვიდა აქეთაც. ჩვენ მათთვის არავითარი დაბრკოლება არ აღმოგვიჩენია. ფეხით, თუ ურმით მიდიოდნენ ან ტფილისში, ან სურამში, ან ბორჯომში ან და სახლდებოდნენ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში.

(გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი: შეგვემატნენ).

მაშასადამე, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არავითარი დაბრკოლება არ აღმოგვიჩენია (გ. ვეშაპელი სამწუხაროდ.) იმ ლტოლვილებისთვის, რომელნიც მოდიან თვითეულად და ოჯახობით, აი მათთვის არავითარი დაბრკოლება არ აღმოგვიჩენია ამ მხრივ. თქვენ ხედავთ, რომ ისინი წავიდნენ იქ, სადაც უნდოდათ. თქვენ ხედავთ, რომ ლტოლვილთა $^2/_3$ უკვე აქ აღარ არიან. მაშასადამე იმაზე ლაპარაკი, რომ აქ იყო რაღაც „კონცენტრაც. ლაგერები“, ან არ უშვებთ, ან „მესოპოტამია“ არის—ეს აღმაშფოთებელი პროვოკაცია არის. ეს არის პროვოკაცია, რომლის მსგავსი ჩვენ კარგა ხანი არ გვსმენია. (მქუხარე ტაში).

ჩვენი აზრით ეს ლტოლვილები უნდა დაბრუნებულიყვნენ თავის ბინაზე. ჩვენ ვიცით მაგალითები, რომ ახალციხის და ახალქალაქის მაზრის ლტოლვილები, ადრე, თუ გვიან დაბრუნდნენ თავის სამშობლოში. აგრეთვე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლტოლვილებს, რომელნიც იყვნენ ერევნის გუბერნიიდან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ თვით სომხის მთავრობა მიიღებს და უკან წაიყვანს. (ვეშაპელი: დიახ! დიახ!).

უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა დღეს შეიძლება, რომ წაიყვანონ, რადგან ისინი იქაურები არიან, მაგრამ ერთი ქალალდიც არ მოგვსვლია და ერთხელაც არ უთქვამთ „აბა, შენი ჭირიმე, დაგვეხმარეთ, წავიყვანოთო“. ისინი ამას არ ფიქრობენ, ისინი ამბობენ: „მესოპოტამია არისო“. და თუ ეს „მესოპოტამიაა, უნდა ცდილობდნენ აქედან წაიყვანონ (მხურვალე ტაში).

ჩვენ ვამბობდით თვითონვე, რომ კითხვის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ლტოლვილთა იქ, თავიანთ ადგილებში დაბრუნებით. მასსიური ჩასახლება აქ შეუძლებელია. ჩვენ ვამბობდით, რომ თვითეული ინდივიდუმის დასახლების წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს და, როგორც იცით, გორში ორი წილი ლტოლვილებისა უკვე არის; მაგრამ მასსიური ჩასახლება აქ რამდენიმე სოფელში ჩვენთვის იყო მიუღებელი და თქვენ იცით, თუ რატომ იყო ეს მიუღებელი. თქვენ იცით, თუ რანაირად უყურებენ სოფლის გლეხ-კაცები ჩამოსახლებულებს, არა მარტო უცხოელებს, არამედ თავიანთებსაც. აქედან, რომ მიდიან ტფილისის მუშა გლეხები, ისინი ფიქრობენ ლუკმას გამოგვაცლიანო (ხმა: ისინი რეაქციონერები, არიან). დიახ! შეიძლება რეაქციონური ელემენტი იყოს გლეხკაცი, მაგრამ, არ გვინდოდა მიგვეცა საბუთი გლეხისათვის, სომხის, ბერძნის და სხვა, სულ ერთია, გლეხი გლეხია, არ გვინდოდა მიგვეცა საბუთი, რომ არეულობა ყოფილიყო და არც ნაციონალური ხოცვა-ჟლეტა. რასაკვირველია ის ვაჟბატონები, რომელნიც გვეუბნებიან „მესოპოტამია“ არისო, „თქვენ გააკეთეთ მესოპოტამიაო“, იმათ უნდოდათ ეს. ჩვენ ომი არ გვინდოდა და არც გვინდა შური და მტრობა გაჩნდეს. ამიტომ ვსთქვით, ჩვენთვის ერთად ერთი მიზანი არის, რომ ეს ხალხი დავაბრუნოთ შინ, ისინი თავიანთ კერას დაუბრუნოთ. უნდა ვსთქვათ, რომ დაბრუნება გვინდა არა მარტო სომხის ლტოლვილების, არამედ ქართველებისაც და სხვებისაც (ხმაურობა. ხმა: საუბედუროდ!) აქ ამბობენ „საუბედუროდო“, არა! და უნდა გითხრათ აი რატომ.

ჩვენ გავაკეთეთ ერთად-ერთი სინჯვა. ყარაიაზში რამდენიმე ადგილიდან წავიდნენ რუსები. ავიღეთ 500 მოსახლე ჯავახელი და მივიყვანეთ იქ. მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ისეთი სიკვდილი გაჩენილიყო ბავშვებში, რომ ბავშვები სულ გაწყდნენ. ამიტომ ისინი აიყარნენ და გვითხრეს: „გვირჩევნია ბაკურიანში სიკვდილი, აქ ცხოვრებას. (ხმა: ბაკურიანი აგარაკია). ამბობენ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ბარში ცხოვრებაო (ხმაურობაა. თავმჯდომარე. უკაცრავად, გთხოვთ, ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ).

მე ვამბობ, დღეს წალკაში, აწყურში, ბაკურიანში არის დიდძალი ქართველი ლტოლვილი.

ჩვენ არავითარ გამორჩევას არ ვაკეთებთ ლტოლვილთა შორის.

და რაკი დავადექით ამას, რომ ეს ხალხი უნდა იყოს უკან დაბრუნებული, ჩვენ შეუდექით იმ საქმის მოწყობას. როგორ შეგვეძლო ამ საქმის მოწყობა? ისე რომ ჩვენ უნდა მოგველაპარაკნა ოსმალეთის მთავრობასთან და ოსმალეთის მისსიასთან, რომ ეს საწყალი ლტოლვილები მათ ქვეშევრდომები არიან და უნდა მათ დაუბრუნდნენ. მე მაქვს აქ მთელი რიგი მიწერ-მოწერა, რომელიც ჩვენ გვქონდა ოსმალეთის მთავრობასა და მის მისიასთან.

პირველ ნოტით ჩვენ მივმართეთ 22 აგვისტოს, ე. ი. ჩვენ მივიღეთ ეს საქმე ივნისში და აგვისტოში და აგვისტოშივე ჩვენ უკვე მოვაწყეთ. 22 აგვისტოს ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართა ოსმალთა მესამე არმიის უფროსს, ესად-ფაშას და სთხოვა, რომ არის ჩვენს ტერიტორიაზე 100 ათასი ლტოლვილი. ეს ლტოლვილები არიან თქვენი მაზრებისა, ახალციხის და ახალქალაქის და თუ შეიძლება ჩვენ მოგვეცით, საშუალება, რომ ისინი უკან დავაბრუნოთ. ამ ნოტის კოპიო გაუგზავნეთ ფონ-კრესს და აგრეთვე ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობას.

შემდეგ ჩამოვიდა აქ ახალი ელჩი ოსმალეთისა, აბდულ-ქერიმ-ფაშა, და როგორც კი მოვიდა ჩემთან,—მე პირდაპირ დაუსვი კითხვა: აი ასეა საქმე დ თქვენ მიიღეთ ზომები, რომ ეს ლტოლვილები შინ დაბრუნდნენ. მას შემდეგ, რაც ის ჩამოვიდა, ჩვენ 6 სექტემბერს ოფიციალური ნოტით ვსთხოვეთ, რომ მას ეს საქმე მოეგვარებინა. მან 8 სექტემბერს მოგვცა პასუხი. გვატყობინებდა, რომ მან მისწერა ამის შესახებ თავის მთავრობას და მისწერა აგრეთვე, ენვერ-ფაშას, და იმედი აქვს, რომ ამ საქმეს მოაგვარებენ. უნდა ვსთქვა, რომ აბდულ-ქერიმ-ფაშამ პირველ დღესვე გვითხრა, რომ ის ჩამოვიდა აქ, როგორც მოციქული მშვიდობიანობისა და კარგი მეზობლობისა, და ისეთ საქმეს, როგორც ლტოლვილთა საქმეა,—ჩვენ უეჭველად მოვაგვარებთო. ასე, რომ ჩვენ ერთნაირი იმედი მოგვეცა.

მას შემდეგ ჩვენ მივიღეთ 11 სექტემბერს აბდულ-ქერიმ-ფაშას ნოტა, რომელშიაც გვთხოვდა, რომ ჩვენ დაგვებრუნებინა ბორჩალოს მაზრაში 119 სოფელი მაჰმადიანებისათვის, რომელნიც აყრილნი იყვნენ იქიდან. ჩვენ მაშინვე მივეცით პასუხი, რომ ჩვენ მივიღეთ დიდი სიამოვნებით, ოღონდ ვთხოვდით, რომ თქვენ მიიღეთ ჩვენი ლტოლვილები ბაკურიანისა, წალკისა და სხვები.

შემდეგ აი ასეთი მიწერ-მოწერა იყო. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ორჯერ რადიო გავგზავნეთ ბერლინში და ვთხოვეთ ჩვენს წარმომადგენელს იქ, ჩ ხ ე ნ კ ე ლ ს, მოლაპარაკებოდა იქ გერმანიის მთავრობას, რათა მან აიძულოს ოსმალეთის მთავრობა და ის ლტოლვილები უკან მიაღებინოს. ასეთ მუშაობის შედეგი ის იყო, რომ 26 ოქტომბერს და 6-ს ამ თვეს ჩვენ მივიღეთ აბდულ-ქერიმის ნოტა, და იქ ამბობდა, რომ ჩვენ თანახმანი ვართ შევადგინოთ კომისია. ამ კომისიაში იქნებიან ოსმალეთის ორი ოფიცერი და უნდა იყოს შიგ თქვენი წარმომადგენელი, რომელიც უნდა ამოირჩიოთ, ე. ი. საქართველოს წარმომადგენელი და აგრეთვე სომხეთის წარმომადგენელი. აი ასეთი კომისია არის დღეს შემდგარი და ეს კომისია მუშაობს.

ამის გარდა ჩვენ გვქონდა მიწერ-მოწერა ლტოლვილების შესახებ თვით სომხეთის მთავრობასთან. ჩვენ გაუგზავნეთ ერთი ნოტა ბ. ჯამალიანის ხელით სომხის მთავრობას და უთხარით, რა მძიმე მდგომარეობაში არიან სომხის ლტოლვილები, რა ძნელია უკან დაბრუნების საქმე. ეს საქმე ჯერჯერობით არ სწყდება. ზამთარი მოდის, და აი ამიტომ ჩვენ გთხოვთ თქვენ მიიღოთ თქვენი ლტოლვილთა ერთი მესამედი და წაიყვანოთ თქვენს ტერიტორიაზე. $^1/_3$ შეიძლება ჩვენ გადავრიცხოთ არმავირის რაიონში და ერთი მესამედი ჩვენ დავირჩინოთ. ჩვენ მივიღეთ ამის პასუხი და ეს პასუხი ეგერ მაქვს. იწერებიან ასეთ პასუხს. (კითხულობს სომხეთის მთავრობის მიერ რუსულ ენაზე მოწერილ პასუხს).

გამოდის, რომ ისინიც ადგნენ ამ აზრს, როგორც ჩვენ, მათ ლტოლვილები უკან უნდა დაბრუნდნენ. იმით არც ერთხელ არ მოუთხოვნიათ აქ დაარჩინეთო. იმიტომ რომ, უპასუხისმგებლო მთავრობამ მე არ ვიცი რა იცის, მაგრამ პასუხისმგებელ მთავრობამ იცის, რომ აქ ჩვენ ქვეყანაში, აქ როცა მიწის სივიწროვეა, აქ დასახლება არ შეიძლება, და ისინი იდგნენ იმ აზრზე, რომ უეჭველად უკან უნდა დავაბრუნოთო. (განაგრძობს კითხვას) მაშასადამე, აქედან თქვენ ხედავთ, რომ ისინი ადგანან იმ აზრს, რომ ჩვენ უნდა გადავასახლოთ იქ, ე. ი. ახალქალაქში და ახალციხის მაზრაში და ჩვენ კი ქართველ ქალაქებში მათი წაყვანა არ შეგვიძლიან. ეხლა შემდეგში (განაგრძობს კითხვას) ე. ი. ისინი არ იყვნენ წინააღმდეგნი, რომ ყველა არ წავიყვანოთ. ისინი აქაც იყვნენ იმის მომხრე, რომ ერთი ნაწილი ჩვენ წავიყვანოთ არმავირის რაიონში, მაგრამ სწორედ ამ დროს, მოიწერეს ბრძანება, რომ ეხლა თხოულობენ, რომ ეს ბრძანება იყო გაუქმებული, რადგან ლტოლვილების ერთ ნაწილსაც ჩვენ ვერ წავიყვანთო. ასეთ პირობებში გაგზავნილ ნოტას, ასეთ გაცვლა-გამოცვლის და ასეთ პირადი მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ ჩვენ კატეგორიულად გამოგვიცხადეს, რომ ამ სომხის ლტოლვილებს ვერ წავიყვანთ სომხეთში ჯერ-ჯერობით.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა იმის შემდეგ, დღეს სომხის მთავრობა არ იზიარებს იმ განგაშს, რომელიც არის, მაგრამ პასუხისმგებელი პარტია, პასუხისმგებელი ორგანო ამის ბრალს ჩვენ გვდებს და სთესს აგიტაციას. და ჰსურს აქ მოიმოქმედოს ის, რაც მოიმოქმედეს სუყველგან. მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ამას არ დავანებებთ (მქუხარე ტაში!) ჩვენ არ მოვითმენთ, რომ აქ შეიქმნას ან ადერბეიჯანის ან ოსმალეთის კუთხე, არ დავანებებთ, რომ აქ შეიქმნეს ეროვნული შუღლი და განხეთქილება. (მხურვალე ტაში. ვეშაპელი: ხიდები ხომ დაანებეთ!).

აი, ბატონებო, ეს წვრილმანი ცირკულიარები, საიდანაც სჩანს, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი როგ რ უწყობს ხელს, რომ შეშა, სანოვაგე და პური შეიძინონ. მათ გადაჰყავთ თავიანთი ობლები სურამში, სოხუმში, სიღნაღში და სხვაგან. ეს მიწერ-მოწერა უტყუარი საბუთია.

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ თელავის და სიღნაღის მაზრაშიაც არიან ლტოლვილები. ჩვენ გვაქვს იქიდან მოწერილობა, გვთხოვენ, რომ შეაჩერეთ მათი გადმოსახლებაო. მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ ადგილობრივ ხალხს მისი შიში აქვს, რომ ლტოლვილები მიწას წაგვართმევენო და ამიტომ ატანენ ძალს მათგანვე არჩეულ კომისრებს, რომ მათ გავლენა იქონიონ ლტოლვილებზე. ამ კომისრებს ჩვენ აქედან ვერ შევაჩერებთ.

მე ვამბობ, რომ, ყველა იმის შემდეგ, რაც ჩვენ გავაკეთეთ ლტოლვილებისთვის, ყველა იმ ზომების შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ ლტოლვილების მიმართ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ გაგვირჩევია ლტოლვილების ეროვნება, და ერთნაირად ვემსახურებოდით სომხებს, ქართველებს, ბერძნებს და სხვებს,—ყველა ამის შედეგად მივიღეთ ასეთი აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც სწარმოებს ტფილისში და თვით ლტოლვილთა შორის; უნდა ვსთქვათ, რომ ამით შეიქნება და გველის დიდი და სერიოზული საქმე. დ უნდა ვსთქვათ აგრეთვე თუ რას შვრება მთავრობა. რა პასუხს და რა ზომებს ღებულობს. ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ამას ბოლო მოუღოთ. (მქუხარე ტაში) და ჩვენ საქართველოში არავითარი ეროვნული შუღლი და არავითარი ბოროტმოქმედება ჩვენი ერის წინააღმდეგ არ იქნება მოთმენილი არც ერთი დღე (მხურვალე ტაში) ამისთვის ზომებს მივიღებთ, და ამ ზომის შედეგი იქნება, რომ ის ორგანიზაცია, რომელიც ამ ღვაწლს სჩადის, თვითონ ისინი იძულებულნი იქნებიან, რომ ან ბოლოს მოუღებენ ასეთ პროვოკაციას, ან და დასტოვონ ჩვენი საქართველოს ტერიტორია და სომხეთში გადასახლდნენ (მქუხარე ტაში. უკანასკნელი სიტყვები გარკვეულად არ ისმის).

# მთავრობაში

გაეხსნას გზათა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 500,000 მანეთის კრედიტი ტყვიბულის მაღაროების მუშათა და მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად; 2) ნება მიეცეს გზათა მინისტრს გაჰყიდოს ნაწილი გზათა სამინისტროს ქონებისა.

**2 პროცენტიანი გადასახადი.**

დამტკიცებულ იქმნას ტფ. ქალაქის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილება შემოსავალზე 2 პროცენტის გადასახადის შესახებ ეპიდემიურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების თანახმად.

**დახმარება.**

მთავრობამ დაადგინა მიეცეს ტფ. 4-კლასიან პირველდაწყებით სკოლების გამგეთ მომარაგების კომიტეტიდან მეტად დაკლებულ ფასებში 2250 არშ. რომელიმე მატერიისა და 200 კოჭის ძაფი.

**ჯებირი**

მთავრობამ დაადგინა ეცნობოს სოხუმის ქალაქის გამგეობას დანიშნოს ექსპერტიზა იმის გამოსარკვევათ, თუ ხსენებული ჯებირი მართლა აფერხებს საელექტრონო სადგურის მუშაობას,—და თუ აღმოჩნდა, რომ ესეთ შეფერხებას ადგილი აქვს, იმ შემთხვევაში ნება მიეცეს ადმინისტრაციას ჯებირი მოხსნას.

**კონტროლის გამო.**

მთავრობამ დაადგინა: 1) მოწვეულ იქმნას სახელმწიფო კონტროლიორი მთავრობის სხდომაზე, რათა განზრახული წინასწარი კონტროლის შესახებ თავისი მოხსენება წარმოადგინოს, 2) ნება მიეცეს ყოველ სამინისტროს მოიყვანოს თავისი უწყებიდან საგანგებო მცოდნე ამ საგნისა უწყებული საკითხის მართებულ გადასაჭრელად.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**ყოფილ ერევნის პოლკის განძეული.**

საგუბერნიო კომისარმა ბ. მაღლაკელიძემ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ის განძეული, რომელიც ყოფილ ერევნის პოლკს ეკუთვნოდა მისი აზრით, როგორც ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ქონება უნდა ინახებოდეს საგუბერნიო ხაზინაში. ხოლო ნაწილი ამ ქონებისა, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს, მიეცეთ მათ კანონიერ პატრონთ.

**თავდაცვა.**

საქართველოს უმიწაწყლო გლეხთა გადმომსახლებული კომიტეტი და ყარაიაზში ჩასახლებულ სოფელ ერთობის წარმომადგენელნი სთხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს განკარგულება და წიანდოს ჯავშნიან მატარებლის უფროსს, რათა მან მათთან შეთანხმებით გასწმინდოს ყარაიაზის რაიონი, ვიდრე საზღვრამდე ყოველ ბოროტ მოქმედთაგან, აეყაროს იარაღი მცხოვრებთ ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს დიდი უკმაყოფილება ადგილობრივ მცხოვრებ მაჰმადიანთა შორის, რომელნიც მათთან კარგ განწყობილებაში არიან და აღდგენილ იქმნას საზღვრებზე სადარაჯოები, რომ ადერბეიჯანის მცხოვრებნი არ გადმოდიოდენ მათ მიდამოების საცარცველათ. გადასახლებულ სოფლის მცხოვრებნი მზათ არიან მთავრობას დაეხმარონ წესიერების დამყარებაში და მუსულმანთა სოფლებთან ძმურ განწყობილებაში.

**სათესლე პური.**

ოზურგეთის ერობის თავმჯდომარის ამხანაგი ცეცხლაძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგს:

„სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის არდიშვილის განკარგულებით გაიგზავნა კახეთში სპეციალისტი თესლის მისაღებათ. სპეციალისტი გვაცნობებს ტფილისიდან, რომ კახეთში თესლი ვერ მიიღო. გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას“.

**იარაღის ტარების ნება.**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭირო დასკვნის მისაწვდენათ მიმართვა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლისა იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა სომხეთის სამხედრო პირებზე იარაღის აყრის განკარგულება და რომ 25 სომეხ არტილერისტს ნება მიეცეს იარაღის ტარებისა.

**იარაღის აყრა**

გენ. წულუკიძე დეპეშით ატყობინებს ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერიდან შემდეგს: „ჩხრეკა გრძელდება, მცხოვრებლებს ვინტოვკები და სახაზინო ნივთები ერთმევა. იყო შემთხვევა, მჩხრეკავთ რომ სროლა აუტეხა ერთმა. მის შესაპყრობად ზომებია მიღებული. დაჭერის შემდეგ იგი საველე სასამართლოს გადაეცემა„.

# გზათა სამინისტროში.

**ნავთის დათმობა.**

საქართველოს რკინის გზების უფროსმა ტელეფონოგრამით აცნობა, რომ გასანათებელ მასალის უქონლობის გამო ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი დიდს გაჭირვებას განიცდიან, რის გამო საქმის წარმოება შეუძლებელია. რკინის გზის უფროსი სთხოვს ყველა მისდამი რწმუნებულ დაწესებულებებს ფასად დაუთმოს ნავთი ნავთსადენების საწყობიდან,

**იარაღის ტარება.**

გზათა ოლქის უფროსმა ინჟ. თუმანიშვილმა გზათა მიმოსვლის უფროსს შემდეგი შეკითხვით მიმართა: „გთხოვთ განმიმარტოთ, ვრცელდება თუ არა ჩემდამი რწმუნებულ დაწესებულებების მოსამსახურეებზე ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება მცხოვრებლების მიერ იარაღის ჩაბარების შესახებ. ვალდებულად ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ტფილისის განყოფილების მოსამსახურეების პროფესიონალურმა კავშირმა ამა წლის 13 იანვარს მიიღო ტფილისის საარტილერიო საწყობიდან 100 ც. „ბერდანა„, რომელთაგან მცირე ნაწილი (დაახლოებით 10 ც.) დაურიგდა ტფილისში მცხოვრებ მოსამსახურეებს, დანარჩენი კი დაეგზავნა ლიანდაგის მოსამსახურეებს, რაიც, თუ მივიღებთ მხედველობაში რაგვარ პირობებში უხდებათ სამსახური ლიანდაგის მოსამსახურეებს და აგრეთვე სახაზინო ქონების და ხიდების დაცვის აუცილებლობას, მეტად საჭირო და აუცილებელიც არის მათთვის.

**ლტოლვილი ქართველები.**

გზათა მინისტრს დეპეშით ატყობინებენ, რომ ბაქოში მზათ არის ტფილისში გამოსაგზავნათ ქართველების მეორე პარტია რიცხვით 300 კაცი. ადერბეიჯანის მთავრობას საშუალება არა აქვთ მატარებლების მიცემის. სთხოვენ სამინისტროს 30 ცარიელ ვაგონს.

**უფასოთ დაბრუნება.**

საქართველოს რკინის გზათა საერთო საქმეთა მმართველმა ფიცხელაურმა განკარგულება მოახდინა, რათა უფასოდ დააბრუნონ ტფილისში ის პირნი, რომელნიც ბათომში მიემგზავრებოდნენ და ნატანებში მოემწყვდნენ. მათ შესახებ შედგენილ უნდა იქმნას სათანადო აქტი სამხედრო უწყებაში წარსადგენათ.

# იუსტიციის სამინისტროში.

**კიდევ გაეროვნების შესახებ.**

რადგან ზოგიერთი დაწესებულებანი 1 ნოემბრის შემდეგაც კვლავ განაგრძობენ სამინისტროში არა სახელმწიფო ენაზე დაწერილ ქაღალდების გზავნას, სამინისტრომ განუმეორა ყველა თავის ხელქვეით დაწესებულებათ კატეგორიული ბრძანება, რათა ყოველ-გვარი მიწერმოწერა სამინისტროსთან მათ მიერ იწარმოებოდეს მხოლოდ ქართულად და რომ უამისოდ სამინისტროს კანცელარია აღარ მიიღებს თავის ხელქვეით დაწესებულებაგათან გამოგზავნილ ქაღალდებს.

**ავჭალის კოლონიის ბედი,**

სანაპირო დარაჯთა რაზმის უფროსმა პოლკოვნიკმა მაღალაშვილმა მიმართა იუსტიციის მინისტრს თხოვნით, რათა ნება დაერთოს ხსენებულს რაზმს ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიაში დაბანაკებისა.

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა ადგილობრივ გამოარკვიოს სანაპირო დარაჯთა რაზმის უფროსის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა და თვისი დასკვნა წარუდგინოს იუსტიციის მინისტრს. კომისიაში შედიან: იუსტიციის სამინისტროსაგან ბ. ნ. სმიტტენი, ავჭალის კოლონიის შემნახველ საზოგადოების თავმჯდომარე ა. ა. ჩებიშევი და სამხედრო უწყების წარმომადგენელი.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**ჩაქვის ყოფილ მუშათა თხოვნა.**

მიწათ-მოქმედების ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობამ მოისმინა სპეციალისტ ე. გ. რამიშვილის მოხსენება ჩაქვის ნაციონალურ მამულების ყოფილ მუშების შუამდგომლობა ჯამაგირების მიცემის შესახებ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან და დაადგინა: 1) თხოვნის განხილვა გადიდოს იმ დრომდე, ვიდრე მუშათა რწმუნებული გოგიშვილი არ წარმოადგენს მუშათა რწმუნების ბარათს, 2) ეთხოვოს კონსულს მოახდინოს განკარგულება რწმუნებულ გოგიშვილის განცხადების შესახებ ჩაქვის მამულების სიანგარიშო დავთრებში და საბუთებში.

**მამულების ექსპლოატაცია.**

მიწათ-მოქმედების ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობამ მიანდო გამგეობის წევრს ა. კ. კორინთელს გორის მაზრის სოფ. ლამისყანის მესაკუთრეთა ორბელიანთ და ერისთვიშვილების მამულები შეიტანოს წესიერ საექსპლოატაციო მამულების საერთო სიაში.

**მამულის მიღება.**

მიწ.-მოქმედების ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ მიანდო გამგეობის წევრს ა. კ. კორინთელს ჩაიბაროს მამული მანთაშევისა გორის მაზრაში სად. გრაკალთან ახლოს მდებარე.

# ფოსტა-ტელეგრაფი

ბახვის (ოზურგეთის მაზრა) ტელეგრაფის განყოფილება 7 ამა ნოემბრიდან გადაკეთებულია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათ.

# სატეხნიკო დარგი.

**კ რ ე ბ ა.**

ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში, ოთხშაბათს, 13 ნოემბერს, ფრეილინის ქ. № 11, საღამოს 7 საათზე შესდგება კრება, რომელზედაც ინჟ. პ. მამრაძე წაიკითხავს მოხსენებას „კანონი სამელიორაციო ამხანაგობებზე“ და ინჟ. ბ. ჭიჭინაძე „ახალ-სენაკ-ზუგდიდის რკინის გზა“. დასწრება არაწევრთაც შეუძლიანთ.

**ქარხნების აგება.**

ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა საზოგადოებამ მოახსენა გზათა სამინისტროს, რომ ამ საზოგადოების დასახულ მიზნით საჭიროა აიგოს ქარხნები და ფაბრიკები, აშენდეს და ამუშავდეს სახელოსნოები მოძრავი და სხვა, რომ ყველაფერი უცხოეთიდან შემოსატანი არ გვექმნეს და ამნაირად სრულ ეკონომიურ მონობაში არ ჩავვარდეთ. ინჟენერთა საზოგადოება სთხოვს სამინისტროს, რაც შეიძლება მალე განიხილოს სამინისტრომ ამ საზოგადოების მიერ წარდგენილი პირობები.

# საექიმო-სასანიტარო საქმე

**გარე-კახეთში.**

გარე-კახეთის (სართი-ჭალის ნაწილის) სოფლებს ნორიოს, მარტყოფს, ახალ-სოფელს, ხაშმსა და სხ. რაღაც გამოუკვლეველი ავადმყოფობა მძვინვარებს. მაგ., სოფ. ნორიოში (ქალაქის პირის სოფელია, 15 ვერსზე) ერთს დღეს ათი მიცვალებული დაკრძალეს. არსად ექიმი, არსად დარიგება. ხალხს შიშის ზარი დასცემია და უმეტესად შიშით იხოცებიან. ამას მოჰყვა უზომო ხარჯები ქელეხებში, რაიც ნივთიერად აქვეითებს ხალხს. იგივე მოქელეხენი კი სასაქმებელ ზეთისათვის ორ-სამ შაურს არ გაიმეტებენ. საჭიროა მთავრობის ყურადღება.

**კრება.**

სამშაბათს, 12 ნოემბერს, დანიშნულია კავკასიის მედიკური საზოგადოების სხდომა. 1. ავათმყოფობთა დემონსტრაცია. 2. მიმდინარე საქმეები. სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

# ძეგვის ხიდი

ძეგვის ხიდის მუშაობის დასათვალიერებლად გაემგზავრენ სამექანიკო განყ. უფროსი ინჟ. მოძრაობის უფროსი აბელაშვილი, რკინის გზის მილიციის უფროსი ბერძენიშვილი. გუშინ დილით გავიდა საგანგებო მატარებელი, მომელსაც ხიდზე პირველად გაატარებენ.

---

# ბათუმი-ბაქო

ბათუმიდან ჩამოსულის სიტყვით ოსმალებმა ზოგიერთი ფორტიდან მოხსნეს იარაღი და ზარბაზნები ნავთსადგურში შეზიდეს ოსმალეთში წასაღებათ. ბათომიდან ოსმალთა ჯარი წავიდა. დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი ქალაქის დასაცველად. ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგა, სანოვაგე თვალსაჩინოდ გაიაფდა. მცხოვრებნი სიხარულით უცდიან ოსმალთა წასვლას.

—

გუშინ ბაქოში გაემგზავრა რუსთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია, რომელშიაც შედიან სტრელკოვსკი, კუტუკოვი და ბარსოვი. დელეგაციას დავალებული აქვს ადერბეიჯანში მოაგვაროს ნავთისა და საბჭოს სხვა საქმეები.

---

# საქართველო და რუსები

**რუსთა ეროვნული საბჭო.**

7 ნოემბერს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ მიიღო რუსთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ ფ. სემიონოვი, ფ. მაიოროვი და სტრელკოვსკი. ხანგრძლივ ბაასში, დელეგაცია შეეხო საქართველოში რუსთა ერ. საბჭოს რწმუნებულების საკითხს და პროტესტი განაცხადა მთავრობის იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც სცნობს საბჭოს, მხოლოდ, როგორც კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციათ. დელეგაცია შეეხო აგრეთვე სხვა საკითხებსაც. მთავრობის თავმჯდომარემ წინადადება მისცა დელეგაციას წერილობით შემოიტანონ განცხადება, რათა დაწვრილებით იქნას განხილული დამოკიდებულობა რუსთა ეროვნულ საბჭოსთან.

**უფის მთავრობის წარმომადგენლის ჩამოსვლა.**

7 ნოემბერს, ტფილისში ჩამოვიდა მოსკოველი ნაფიცი ვექილი ვ. ნ. მალიანტოვიჩი. როგორც გადმოგვცემენ, ის ჩამოვიდა, როგორც წარმომადგენელი რუსეთში ახლად შექმნილ უფის მთავრობისა. მისი ჩამოსვლის მიზანია გამორკვევა, თუ როგორ დამოკიდებულობაშია საქართველოს მთავრობა ახლად შექმნილ უფის მთავრობასთან და აგრეთვე დაცვა რუს მოხელეთა, რომლებმაც ადგილი დაჰკარგეს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, დაწესებულებათა ნაციონალიზაციის გამო. ამ დღეებში ვ. ნ. მალიანტოვიჩი რუსულ ნაციონალურ საბჭოში წაიკითხავს მოხსენებას რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მისი ინტელიგენციისა და ფართო მასის სულიერ განწყობილებაზე.

---

# ქალაქის გამგეობაში.

**მომრიგებელი მოსამართლენი.**

მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატების დასანიშნათ საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას სხდომა ჰქონდა, რომელზედაც დაადგინა: ერთი კვირით განაგრძოს ვადა ამ თანამდებობის ალაგის მიცემის შესახებ თხოვნის მიღებისა. თხოვნებით ამის შესახებ კომისიის მდივანს უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობაში. რაც შეეხება იმ ორ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელნიც უკვე დანაშნულები არიან, თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევნისა, ბინების თაობაზე დავა-საჩივრების გასარჩევად, კომისიამ დაადგინა ამათაც ხელ ახლად კენჭი უყაროს, რადგანაც კანონის ძალით ტფილისში 22 მომრიგებელი მოსამართლე უნდა იყოს ამორჩეული. სახელმწიფო ენის ცოდნის შესახებ კომისიამ დაადგინა საკმარისად სცნოს, თუ კანდიდატს ქართული ლაპარაკი ესმის და თუ მას შეუძლიან ქართულად წერა—კითხვა, ქვეშევრდომილობის შესახებ კომისიის დადგენილებისამებრ მომრიგებელ მოსამართლეთა შეუძლიანთ, გამოაცხადონ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი არიან, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოჰყვებიან რეკომენდაციის კომისიის მიერ შედგენილს კანდიდატების სიაში. მეორე სხდომა ამ კომისიისა დანიშნულ იქნება მაშინ, როდესაც ეს კანონი გადათარგმნილ იქნება რუსულ ენაზე და გაეგზავნებათ წევრებს.

**ბალანსი.**

ქალაქის გამგეობამ საბჭოს ხმოსნებს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის ასრულების ბალანსი დაურიგა, რომლიდანაცა სჩანს, რომ რვა თვის განმავლობაში ქალაქის სასარგებლოდ ყოველგვარი გადასახადი სულ 11,500,681 მან. 91 კაპ. შემოსულა. ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ამ 1918 წელს ქალაქი მოელოდა 27,767,514 მან. და 55 კაპ. შემოსავალს. მაშასადამე წლის დაბოლოვებამდე ქალაქის გამგეობა ელის 16,266,832 მან. და 64 კაპ. შემოსვლას, რაც, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია და ქალაქს ძველ დეფიციტებს რამდენიმე მილიონი მიემატება.

**რევიზიის შემდეგ.**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების დროებით გამგეთ მიწვეულმა გ. გ. აიოლლომ რევიზია მოახდინა ქალაქის სასურსათო დუქნებისა, სხვათა შორის საყასბოსი და დიდი უწესოება აღმოაჩინა იქ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაითხოვნილ იქმნენ სამსახურიდან ხორცის განყოფილების გამგე და აგრეთვე ვოგზალის, იურიევის და პავლოვსკის ქუჩებზე გაღებულ ქალაქის საყასბო დუქნების გამგენი. ამასთანავე დაავალა გამგეობის წევრს ი. ი. ბესელიძეს ყასაბხანის მსახურებს დროებით დაავალოს საკლავი ოპერაციები ყასაბხანაში და გამგეობის წევრს ი. ი. ხურამოვიჩს—დაავალოს გადასახადების ბიუროს მოხელეებს ზედამხედველობა ამ სამ ქალაქის საყასბო დუქნებზე. ბ-ნ აიოლლის წინადადება მიეცა წარმოუდგინოს გამგეობას მოხსენება საყსბო დუქნების კოოპერაციების ანუ კერძო პირთა გადაცემის შესახებ.

**მარილი.**

ს. პ. ალიხანოვმა ქალაქის გამგეობას მიართვა თხოვნა მის შესახებ, რომ მას გადაეცეს დასაფქველათ ის მარილი, რომელიც საქართველოს სასურსათო საბჭოს მიერ ეძლევა ქალაქს გასასყიდათ. დასაფქველ, გადატან-გადმოტანის და სხვა ხარჯის დასაფარავათ ბ-ნი ალიხანოვი დაუფქველ მარილის მეოთხე ნაწილს თხოულობს ისე, რომ თითო ფუთი დაუფქველ მარილში 30 გირვანქა გასუფთავებულ და დაფქვილ მარილს ჰპირდება დაბრუნებას.

### ზეთი.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო განცხადება რამდენიმე მოვაჭრისაგან იმის შესახებ, რომ მათ თბილისში ჩამოუტანიათ ჩრდილოეთ კავკასიიდან „სემიჩკის“ ზეთი და ქალაქს „უთმობენ“ მას ფუთს 380-400 მანეთად, ქალაქის სასურსათო დუქნებში გასასყიდლად. სასურსათო განყოფილების გამგე ბ-ნ მიანსაროვს შეკითხვა გაუგზავნია კოოპერატივების კავშირთან ფასის გამო, ძვირი ხომ არ არისო. კოოპერატივების კავშირის მართველობას უპასუხნია, რომ მას სემიჩკისავე ზეთს 280 მან. ფუთს ჰპირდებიან, მაგრამ კავშირს ეს ფასიც ეძვირაბაო.

### დამატებითი ჯამაგირი.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქუჩების დამგველ-გამსუფთავებელ მუშებს მიეცეს პურის სიძვირით გამოწვეული ჯამაგირის დამატება წასულ ენკენისთვისა.

### ღვინის ფასი.

ღვინის გამყიდავმა ფირმებმა მაგალითად „კავშირთა-კავშირი“, კახეთის მევენახეების საზოგადოება, „კახეთია“ და სხვ. ღვინის გაძვირების გამო მიმართეს ქალაქის გამგეობას თხოვნით ან სულ მოისპოს ღვინოზე ნიხრი, ანუ გამგეობამ გადაათვალიეროს პრეის-კურანტები და ნება მისცეს მათ ფასის გადიდებისა.

### ლ ო ტ ო.

ტფ. კლუბთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვით-მართველობის წინაშე, რომ ლოტოს თამაშის ნება დართონ იმ პირობით, რომ ამ თამაშს აზარტის ხასიათი არ მიეცეს და წინადადებას იძლევიან შემოსავლის ნაწილი გადაეცეს ქალაქის რამდენიმე საქველმოქმედო საზოგადოებას.

### შაქრის შესახებ.

ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა შაულ პოლისის თხოვნა მის შესახებ, რომ მას დაუბრუნონ შაქარი, რომელიც რეკვიზიციის წესით ჩამოართვეს.

### ნავთის გამო.

ზოგიერთთა სასურსათო კომიტეტი, მათ შორის მილიციის მე-10 ნაწილისა, სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ მათ ნისიათ მიეცეთ ასანთები ნავთი მოქალაქეთათვის, იმ პირობით, რომ ნავთის გაყიდვის შემდეგ, ფულს დაუყონებლივ შეიტანენ სასურსათო განყოფილების კასსაში. კომიტეტებს არ შეუძლიანთ წინათვე შეიტანონ ნავთის ღირებულება, რის გამოც ბევრ მოქალაქეთ არ შეუძლიათ ნავთის ყიდვა ნიხრის ფასით, და კერძო ვაჭრებს ერთი-ორათ მეტ ფას აძლევენ, 7—8 მ. 3 მ. 20 კაპ. მაგივრად.

### დახმარება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა სახალხო გვარდიის უმთავრეს შტაბს გაუგზავნოს 1,000 მან. მოკლულ გვარდიელ ივანე გოგიაშვილის ოჯახის შემწეობისათვის გადასაცემათ.

### კომიტეტში.

ქალაქის გამგეობის წარმომადგენლათ იმ კომიტეტში, რომელიც დაარსდა რკინის გზებით საქონლის გადატან-გადმოტანის მოსაწყობლათ დანიშნეს გამგეობის წევრი ი. ი. ბესელიძე, რომელსაც უფლება ეძლევა, როდესაც მას არ ეცლება კომიტეტის სხდომაზე წასვლისთვის, ქალაქის უფროსი ინჟენერი ს. ა. მუხარინსკი გაგზავნოს თავის მაგივრათ.

### ღვინის შემოტანა

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გააუქმოს თავის დადგენილება 22 ოქტომბრისა და ნება დართოს ქალაქში ღვინის შემოტანისა იმ შემთხვევაშიაც, თუ ღვინის პატრონს არ შეუძლია წინადვე შეიტანოს ქალაქის კასაში ღვინოზე დადებული გადასახადი ბაჟი, და მათ ნება დართოს ამ ფულის კასაში შეტანისა ღვინის გაყიდვის შემდეგ.

### გაფიცვის შესახებ

დღეს, 12 ნოემბერს, დანიშნულია ქალაქის გამგეობის და მის დაწესებულების მოსამსახურეთა დელეგატების კრება იმ საგნის განსახილველად, გამოაცხადონ თუ არა ეხლავე გაფიცვა[?]ორი თვის ჯამაგირების მიუღებლობის გამო. სხვა და სხვა განყოფილების დელეგატების კრებაზე ბევრი წილი იმ აზრის იყო, რომ ქალაქის კასის უფულობას გაფიცვა ვერ უშველის და რაღაცა სხვა ღონისძიება უნდა იყოს გამონახული.

## ქართული ლატარია

ქ. ქუთაისს ღენერალ ართმელაძემ მისდამი რწმუნებულს ქვეითა დივიზიას შემდეგი მოწოდება დაუგზავნა:

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით განზრახულია ძლიერი ფონდის შედგენა ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის ასაღორძინებლათ. ვგზავნი რა საამისო მოწოდებებს, ღრმად მრწამს რომ ჩვენი აფიცრობა და ჯარის-კაცები, მიუხედავათ ქონებრივი სივიწროვისა თანაგრძნობით შეხვდებიან ასეთ სიმპატიურ მოწოდებას და ბლომათ შეიძენენ მომგებიან ბილეთებს.

იმედია პოლკის უფროსი მოახერხებს მისდამი რწმუნებულ პოლკში ბილეთების ბლომათ გასაღებას.

ღენერალ-მაიორი ღენერალი ა რ თ მ ე ლ ა ძ ე.

შტაბის უფროსის მაგიერ

შტ.-კაპიტანი ჩ ი გ ო გ ი ძ ე.

— ქ. ფოთში სოც.-დემ. კლუბმა აიღო ლატარიის ორი ათასი ბილეთები.

— იქვე ქალთა საზოგადოებამ აიღო ათასი ბილეთი.

— აგრეთვე მუშების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუშათა არტელი, რომელიც შესდგება 800 კაცისაგან ყველა თითო ბილეთს შეიძენს. ესეთივე განზრახვა აქვთ ქ. ფოთში მოსამსახურე სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეებს.

— როგორც მოსალოდნელი იყო ლატარიის ბილეთები საქართველოს ყველა კუთხეში ბლომათ საღდება.

— ცნობილმა ვაჭარმა დავ. ქებაძემ ორმოცდა ათი ათასი მანეთის ლატარიის ბილეთი დაიკვეთა.

## საქართველოს პარლამენტი

სამშაბათს 1918 წ. ნოემბრის 12.

**განსახილველია შემდეგი საკითხები.**

1. გაგრძელება მსჯელობისა და სხვა უწყებათა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

2. კანონ-პროექტი პირველ დაწყებითი სასწავლებელთა გახსნის შესახებ.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

3. საფინანსო კომისიის დადგენილება—შაქარზე ერთდროულ გადასახადის დაწესების კანონ პროექტის უარყოფის შესახებ.

მომხსენებელია დ. თოფურიძე.

4. კანონ-პროექტი სახაზინო პალატათა გაუქმების და გადასახადთა და სახელმწიფო სამმართველოს დაარსების შესახებ.

მომხსენებელია ა. ასათიანი.

5. კანონ-პროექტი—გადასახადების აკრეფისა.

მომხსენებელია ა. ასათიანი.

6. კანონ-პროექტი—გადასახადთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ.

7. კანონ-პროექტი—სააქციზო უწყების ორგანიზაციის შესახებ.

8. კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროულ დახმარების შესახებ.

9. შეკითხვა დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისდმი და სახელმწიფო კონტროლიორისადმი 30 მილიონის სალიკვიდაციო ფონდის შესახებ.

10. შეკითხვა პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვისა და ლეონ თუმანოვისა იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი,—სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუდუ მდივანისა და სხვ. სატუსაღოში უბრალდებოდ მწყვდევის შესახებ.

11. შეკითხვა პარლამენტის წევრის დ. დავითხანოვისა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპულიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწინაალმდეგო ზომების შესახებ.

## კავკასიის კონფერენცია.

10 ნოემბერს, დღის 12 საათზე, გაიხსნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მოწვეული კავკასიის კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ: საქართველოს მთავრობიდან—საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი და შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი; ადერბეიჯანის—დიპლომატ. წარმომადგენელი საქართველოში ჯაფაროვი და დ-რი ვექილოვი; მთიელთა მთავრობიდან—მთავრობის ვიცე-თავმჯდომარე კოცევი და ფინანსთა მინისტრი—ჯაბაროვი. სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი ჯერ ა ჩამოსულა და კონფერენციის სხდომის გახსნისას საქართველოს მთავრობის თავმჯომარემ ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ სომხეთის რესპუბლიკის რწმუნებულის ჯამალიანის ცნობით ერევანთან დამოკიდებულება არაა, მას არ შეეძლო ჯერჯერობით მიეღო თავის მთავრობიდან ცნობა დელეგატის დანიშვნის შესახებ. მოისმინეს რა ეს ცნობა კონფერენციის წევრებმა, გადასწყვიტეს გადასდონ კონფერენციის მოწვევა 14 ნოემბრისთვის იმ იმედით, რომ ამ დრომდე მიიღებენ ცნობას ერევნიდან. ამ სხდომაზე აირჩიეს სამანდატო კომისია.

## საქართველოს ჯარი.

გუშინ ტფილისში ქართულ ჯარის ნაწილებმა გაიარა, სამხედრო ორკესტრით. ქალაქის ქუჩებზე მიემართებოდა ცრავალ რიცხოვანი ნაწილები ტფილისში მყოფ ლაშქრისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქვეითა პოლკები, არტილერია, კავალერია, სახალხო გვარდიის ტყვიის-მფრქვეველთა ნაწილი. მათ მიჰყვებოდა ჯავშნიანი ავტომობილები და ტყვიის მფრქვეველი მოტოციკლეტები.

## მაზნიაშვილის განცხადება

**განცხადება ტფილისის და მის მიდამოების მცხოვრებთათვის.**

ზოგიერთი ბოროტ გამძრახველნი მილიციის სახელით და ყალბი ორდერებით სახლებში შედიან გასაცარცვავათ. ვაფრთხილებთ ქ. ტფილისის და მის მიდამოების მცხოვრებლებს, რომ ასეთი პირები დაჭერისთანავე სამხედრო საველე სასამართლოში იქნებიან მიცემულნი. ვაცხადებ მცხოვრებლების საყურადღებოთ, რომ იარაღის აღმოსაჩენათ ბინების გაჩხრეკა შეუძლიანთ იმ პირთ, ვისაც ჩემი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული და ქალაქის მილიციის უფროსის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული და განსაკუთრებული ორდერი ექნებათ.

გენერალ-გუბერნატორი

გენ.-მაიორი **მაზნიაშვილი.**

## ზავის გარშემო.

პ ა რ ი ზ ი, 9 ნოემბ. გერმანიის დელეგატები პარასკევს დილით მარშალ ფოშთან მივიდნენ და ოფიციალურად სთხოვეს დროებითი ზავზე მოლაპარაკების დაწყება. მოკავშირეებმა პირობები მიიღეს. (?) დელეგატებმა სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ითხოვეს, რაზედაც უარით უპასუხეს. დელეგატებმა სთხოვეს მათ ამის შესახებ აცნობონ გერმანიის მთავრობას კურიერის საშუალებით. კურიერი გაემგზავრა გერმანიის ჯარის უფროსთან. პასუხის ვადა ორშაბათ დილის 11 საათამდეა.

## ქ რ ო ნ ი კ ა

○ სად. ქვალონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 8 ნოემბერს ორთქლმავალის გადასროლილ ნაპერწკლისაგან დაიწვა შეშით სავსე ბაქანი.

○ სად. მუხიან-რიონ შუა 7 ნოემბერს საღ. 7 ს. 50 წ. დაიწვა სადარაჯო ბინის შენობა. ქონება ვერ გადარჩა ძლიერი ცეცხლის გამო.

○ სოსიკო მერკვილაძე აცხადებს, რომ მის მაღაზიაში უცნობ კაცს დარჩა საფულე ფულებით. პატრონს სთხოვს საფულე და ფული მოიკითხოს მის მაღაზია „ცოდნაში“.

○ კვირას, ათ ნოემბერს, მომხმარებელ საზოგადოების „ტფილისის კოოპერატივის“ წევრთა წლიური კრება შესდგა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ი. გ. გამელეი. საზოგადოების ანგარიშის განხილვამ დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი წევრთაგანი ჩიოდა, რომ ამ კოოპერატივის დუქნებში ზოგიერთა სანოვაგე უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე კერძო სავაჭრებშიო. გასულ წლის განმავლობაში კოოპერატივს 738,358 მან. 53 კაპ. საქონელი გაუყიდნია და 38,642 მ. 3 კ. წმინდა მოგება მიუღია. კამათის შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა. შემდეგ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ამა 1918 წლისა, რომელიც ნაანგარიშევია 559,300 მან. ამის შემდეგ კრებამ მიიღო მოხსენება კოოპერატივის რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ, სხვათა შორის დაადგინა პაის ფასი გაადიდონ 5 მანეთიდან 20 მანეთამდე. მართველობის წევრებს კრებამ დაუნიშნა ჯამაგირი 300 მან. და რევიზიის კომისიის წევრთ 200 მან. თვეში, გამგეობის წევრთა არჩევნები გადაიდო მომავალ კვირამდე.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

### განცხადება.

**ტფილისის ოლქის სასამართლოს,**

24 ოქტომბრის 1918 წლის, დადგენილებით კოოპერატიულ საზოგადოებათა და კავშირთა რეესტრში შეტანილ იქმნა საქართველოს პარლამენტის და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების „ეკონომიური კავშირი“.

936 1—1

ქ. ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს პეტრე კონსტანტინეს ძე ჟორდანიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჟორდანიას ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში.

923 1—1

## საქართველოს რესპუბლიკის

**ჯარების სამხედრო სასამართლო**

1918 წ. ოქტ. 30 დღის დადგენილებით სამხედრო სამართლის წესის მე-951 მუხლის ძალით ეძებს სოფელ საელიავო, სენაკის მაზრის მცხოვრებს, პირველ მსროლელ პოლკის უფროს უნტერ-ოფიცერს ალექსანდრე მიხეილით ძეს ხაჟომიას, 39 წლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების მე-13 მუხლით და მე-160 და 155 მუხლთა მე-XXII წიგ. ს. დ. კ. მე-4 გამოცემის ძალით. ნიშნები შემდეგია: ცოტა ქარისგან არის დახუთული, რის გამო დიდხან სიარული არ შეუძლიან. ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს ხაჟომია, ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკას ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ოლღას ქუჩა, № 48.

885 3—3

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 75749. ასი მანეთის არშაკ ლალაიანცის სახელზე მიცემული.

ლევანტი გლახუას ძე ძნელაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სახალხო გვარდიაში თანამშრომლობის მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს: არსენალი, საარტილერიო საწყობი.

1023 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 26 მის მიერ დამტკიცებულია გირავნობის სიგელი მოსე აბრამის ძე რაბინოვიჩის მამულზე გუდაუთში და შესდგება ორი ნაჭერი მიწისგან № 1, 2, ზომით 697 ოთხკ. საჟ., რომელიც დაგირავებული აქვს ბორის ათანასის ძე დომრაჩევს 20.000 მან. უპროცენტოდ 1918 წ. 1 იანვრამდე.

928 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 17 მის მიერ აღნიშნულია სიმტკიცის სიგელი დიმიტრი დავითის ძე მესხის მამულზე, ქ. სოხუმში, გოგოლის ქუჩაზე, № 8, ზომით 120 ოთხკ. საჟ. ფასი 350 მან.

932 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 23 დამტკიცებულია, 1918 წ. ოქტ. 21 სოხუმის ნოტარიუს ზავრაისკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იაკობ არხიპის ძე კარკოხინმა 30.000 მან. მიჰყიდა გიორგი ბერუას ძე პაპასკირს მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, № 78, ზომით 150 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 520 მ. საღერბო 65 მ.

926 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 22 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც თებრონე იოსების-ასულმა ლორთქიფანიძემ 5000 მან. მიჰყიდა ვანე იოსების-ძე კვერნაძეს მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, მდ. ბესლეთის ნაპირას, ზომით 3 დეს. 840 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 200 მ., საღერბო 25 მან. 927 1-1

ტფილისის ვაჭართა ბანკი ამით აცხადებს, რომ დასახელებულ ბანკის ბილეთი № 598, მიღებული 1917 წ. სექტ. 18, 4885 მანეთის ბაგდასარ ჰაირაპეტის ძე მანუკიანცის სახელზე, დაკარგულია, რის გამოც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

მპოვნელს სთხოვენ მოიტანოს ბილეთი ბანკში

3—898—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 2 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუსის ზაგრაისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ნიკოლოზის ძე მეშჩერინმა 25000 მან. მიჰყიდა კონსტანტინე გიორგის ძე ბუმბურიდის მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, შერვაშიძის ქუჩაზე, № 6. ზომით 350,90 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადი მიღებულია 100 მ., საღირბო—125 მ. 931 1—1

ივანე იაკობის ძე ლიახოვიჩი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიცემული ჯევათის სამაზრო სამმართველოდან 1910 წ ივლისის 25 № 864.

3—1014—3

გორის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ელისაბედ ზაქარიას ასულის დავროვას და დარია სიმონის ასულის გოგიჩაიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება დავროვასა და გოგიჩაიშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში.

897 4—4

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.